



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები COVID- 19 კრიზისის დროს

ავტორები:

ქეთევან კუკავა

სალომე ჩხაიძე

მაისი 2020

სარჩევი

I. შესავალი	3
II. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს	3
III. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიდან გადახვევა 7	
IV. კანონის უზენაესობა და დემოკრატიული პრინციპები საგანგებო მდგომარეობის დროს 8	
V. ადამიანის უფლებათა სტანდარტები	10
VI. დასკვნა	15



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

I. შესავალი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეულმა კრიზისმა მსოფლიო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. ამგვარი კრიზისის დროს, ვირუსთან გამკლავების მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია და ვალდებულიც არის მიიღოს იმაზე უფრო შემზღვეველი ზომები, ვიდრე ორდინალურ ვითარებაში მიიღებდა. თუმცა, მნიშვნელოვანია გლობალურ პანდემიასთან ბრძოლის პროცესში გადადგმული ნაბიჯებით არათანაზომიერად არ შეიზღუდოს ადამიანის უფლებები და საფრთხე არ შეექმნას ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებს.

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს საგანგებო მდგომარეობის დროს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე აანალიზებს შემდეგ ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს: სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

II. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოებს შეუძლიათ ცალკეული უფლებები კანონით შეზღუდონ სათანადო ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, რასაც ხშირად “ორდინალურ” შეზღუდვად მოიხსენიებენ, რადგან მათ შესაძლოა მუდმივი ხასიათი ჰქონდეს. მაგალითად, კონვენცია ითვალისწინებს ორდინალურ ვითარებაში ცალკეული უფლებების შეზღუდვას ჯანმრთელობის დასაცავად, კერძოდ: თავისუფლების უფლება¹ შეიძლება შეიზღუდოს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა², გამოხატვის თავისუფლება³, შეკრების თავისუფლება⁴, რელიგიის თავისუფლება⁵ და მიმოსვლის თავისუფლება⁶ შეიძლება შეიზღუდოს ჯანმრთელობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან გადახვევა კი დაშვებულია განსაკუთრებით სერიოზული კრიზისის დროს, რაც ექსტრაორდინალური ზომების მიღებას მოითხოვს.⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, “ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის მიზნით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს. სახელმწიფო, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებებისა და მათი

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი.

² იქვე, მე-8 მუხლი.

³ იქვე, მე-10 მუხლი.

⁴ იქვე, მე-11 მუხლი.

⁵ იქვე, მე-9 მუხლი.

⁶ იქვე, მე-4 ოქმის მე-2 მუხლი.

⁷ The Administration of Justice During Satets of Emergency, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KuF2qH>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

მიზეზების შესახებ. ის აგრეთვე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სრულად ამოქმედების თარიღს.”⁸

გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის მიზანი კონვენციიდან გადახვევის ფაქტის გასაჯაროებაა, რადგან სწორედ გენერალური მდივნის მეშვეობით ხდება სხვა მონაწილე სახელმწიფოების ინფორმირება.⁹ ამგვარი ოფიციალური და საჯარო შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მე-15 მუხლი (კონვენციიდან გადახვევა) სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებზე არ ვრცელდება და კონვენცია სრულად მოქმედებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ შეტყობინებას ფორმალური ხასიათი აქვს და მისი შინაარსის არსებითი განხილვა არ ხდება, რადგან საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული ზომების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში.¹⁰

ევროპული კონვენცია ცალკეული ფუნდამენტური უფლებების განსაკუთრებული დაცვის სამართლებრივ რეჟიმს ადგენს და საგანგებო მდგომარეობის დროს მათი შეზღუდვის შესაძლებლობას გამორიცხავს.

კონვენციის მუხლები, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია

- სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი);
- წამების აკრძალვა (მე-3 მუხლი);
- მონობის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი);
- სასჯელის უკუმაღლით შეფარდების აკრძალვა (მე-7 მუხლი);
- სიკვდილით დასჯის აკრძალვა (მე-6 და მე-13 ოქმები);
- ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა (მე-7 ოქმის მე-4 მუხლი).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ წარმოადგენს დაბრკოლებას პანდემიასთან ბრძოლის დროს ეფექტური ზომების მიღების პროცესში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მე-15 მუხლი სახელმწიფოებს არ აძლევს შესაძლებლობას საგანგებო მდგომარეობის დროს მათი სურვილისამებრ ნებისმიერ უფლებაში ჩაერიონ. ამგვარი ჩარევა ცხადად უნდა იყოს დაკავშირებული პანდემიასთან, უნდა იყოს დროში შეზღუდული და მკაცრად აუცილებელი.¹¹ საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათ მიერ

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 15.

⁹ Guide on Article 15 of the European Convention on Human Rights, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3aCPA1w>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹⁰ Strengthening the supervision of ECHR derogation regimes. A non-judicial avenue, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cVwrD1> წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹¹ Covid-19 and the European Convention on Human Rights, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xYFFGe> წვდომის თარიღი: 24.04.2020.

მიღებული ზომები უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული წესრიგის დაცვას და სათანადო ნაბიჯები უნდა გადაიდგას დემოკრატიული ღირებულებების უზრუნველყოფის მიზნით.¹²

კონვენციის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველომ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გადახვევის თაობაზე შეტყობინება 2020 წლის 23 მარტს გაუგზავნა.¹³ წარდგენილი შეტყობინება მოიცავს ინფორმაციას პრეზიდენტის დეკრეტით შეზღუდული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, ასევე კონვენციის იმ უფლებების შესახებ, რომელთაგან გადახვევა აუცილებელი გახდა. საქართველომ შეტყობინებაში განმარტა, რომ საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული შეზღუდვები გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით და შეესაბამება არსებულ კრიტიკულ მდგომარეობას.

2020 წლის 24 აპრილის მდგომარეობით, პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, 10-მა ქვეყანამ წარადგინა შეტყობინება კონვენციიდან გადახვევის თაობაზე.¹⁴

ქვეყნები, რომლებმაც 24 აპრილის მდგომარეობით, წარადგინეს შეტყობინება კონვენციიდან გადახვევის თაობაზე

1. ლატვია - 16 მარტი, 2020 წელი
2. რუმინეთი - 18 მარტი, 3 და 5 აპრილი, 2020 წელი
3. ესტონეთი - 20 მარტი, 2020 წელი
4. სომხეთი - 20 მარტი, 2020 წელი
5. მოლდოვა - 20 მარტი, 2020 წელი
6. საქართველო - 23 მარტი და 23 აპრილი, 2020 წელი
7. ალბანეთი - 1 აპრილი, 2020 წელი
8. ჩრდილოეთ მაკედონია - 2 აპრილი, 2020 წელი
9. სერბეთი - 7 აპრილი, 2020 წელი
10. სან მარინო - 14 აპრილი, 2020 წელი

საგანგებო მდგომარეობის პირობებში, გამოწვევას წარმოადგენს კონვენციიდან გადახვევის სათანადო ზედამხედველობა. მხოლოდ სასამართლოს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან ზედამხედველობა ვერ ჩაითვლება კონვენციიდან გადახვევის ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმად სულ მცირე ორი მიზეზის გამო¹⁵:

- 1) ევროპული სასამართლო ვერ უზრუნველყოფს კონვენციიდან გადახვევასთან დაკავშირებით მიღებული ზომების დროულ განხილვას და სათანადო რეაგირებას. კონვენციიდან

¹² Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3azucub>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Y1GJnx>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bMkVjC>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹⁵ Supervision of derogations in the wake of COVID-19: a litmus test for the Secretary General of the Council of Europe, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cL1xny>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

გადახვევასთან დაკავშირებული განაცხადები პრიორიტეტულად არ განიხლება¹⁶, რადგან ის არ განეკუთვნება “გადაუდებელ საქმეთა” (urgent case) კატეგორიას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამგვარ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებას შესაძლოა წლები დასჭირდეს.¹⁷

- 2) მეორე მხრივ, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ფოკუსირდება ინდივიდუალური საჩივრის ფაქტობრივ გარემოებებზე, შესაბამისად, ის ვერ შეეხება კონვენციიდან გადახვევის რეჟიმთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მასშტაბებს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ევროპული სასამართლო სისტემურად ვერ შეაფასებს საგანგებო მდგომარეობის დროს მიღებული ზომების გავლენას ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე.¹⁸

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზედამხედველობის ალტერნატიულ მექანიზმებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის როლი. ევროპული კონვენციის 52-ე მუხლის თანახმად, გენერალური მდივნის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო წარადგენს განმარტებას, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შიდა სამართალი კონვენციის დებულებათა სრულად განხორციელებას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია N2209 გენერალურ მდივანს რეკომენდაციას აძლევს ზედამხედველობა განახორციელოს გადახვევის რეჟიმზე სწორედ 52-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ფარგლებში და ჩაერთოს შესაბამის სახელმწიფოსთან დიალოგში, რათა უზრუნველყოფილი იყოს საგანგებო მდგომარეობის შესაბამისობა კონვენციის სტანდარტებთან.¹⁹

მე-15 მუხლით გათვალისწინებული გადახვევა არ არის სავალდებულო წინაპირობა აღნიშნული 52-ე მუხლის ასამოქმედებლად, აუცილებელია სათანადო პოლიტიკური ნების არსებობა და გენერალურ მდივანთან სახელმწიფოების თანამშრომლობა. ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო კონვენციიდან გადახვევა საპარლამენტო ასამბლეის N2209 რეზოლუციის მიღების შემდგომ პირველ გადახვევას წარმოადგენს. საინტერესოა, რამდენად ჩაერთვება გენერალური მდივანი და რამდენად შეასრულებს საზედამხედველო ფუნქციას საგანგებო მდგომარეობასა და კონვენციიდან გადახვევასთან დაკავშირებულ პროცესებში.²⁰

¹⁶ The court’s priority policy, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cJrUdh>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹⁷ Supervision of derogations in the wake of COVID-19: a litmus test for the Secretary General of the Council of Europe, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cL1xny>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹⁸ Supervision of derogations in the wake of COVID-19: a litmus test for the Secretary General of the Council of Europe, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cL1xny>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

¹⁹ Parliamentary Assembly, Resolution 2209(2018). ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yFsF8B>, წვდომის თარიღი: 26.04.2020.

²⁰ Strengthening the supervision of ECHR derogation regimes. A non-judicial avenue, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cVwrd1> წვდომის თარიღი: 24.04.2020.

III. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიდან გადახვევა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება ერის სიცოცხლეს, სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაუხვიონ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები შეუთავსებელი არ იქნება მათ მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრ სხვა ვალდებულებებთან და არ მოიცავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.²¹

ღონისძიებები, რომლებიც მოითხოვს პაქტის დებულებებიდან გადახვევას, უნდა იყოს საგამონაკლისო და მათ აუცილებელია ჰქონდეთ დროებითი ხასიათი. სანამ სახელმწიფოები მიმართავენ პაქტის მე-4 მუხლს, მნიშვნელოვანია ორი ფუნდამენტური პირობა იყოს სახეზე: მდგომარეობა უნდა იყოს იმგვარი, რომ საფრთხეს უქმნიდეს ერის სიცოცხლეს და სახელმწიფოს საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად უნდა ჰქონდეს გამოცხადებული. ეს უკანასკნელი მოთხოვნა არსებითად მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობისა და კანონიერების პრინციპების უზრუნველსაყოფად, რომელთა შენარჩუნებაც საგანგებო მდგომარეობის დროს ჩვეულებრივზე მეტად საჭიროა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას აუცილებელია იმ კონსტიტუციური თუ სხვა საკანონმდებლო ნორმების დაცვა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს მიერ საგანგებო უფლებამოსილების გამოცხადებისა და განხორციელებს წესებს.²² ამავე დროს, სათანადოდ დასაბუთებული უნდა იყოს არა მხოლოდ გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, არამედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გატარებული ყველა ღონისძიება.²³

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მსგავსად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც ითვალისწინებს შესაბამისი შეტყობინების წარდგენის ვალდებულებას. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საშუალებით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს პაქტის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს, თუ რომელ დებულებებს გადაუხვია და რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.²⁴

²¹ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 4(1).

²² UN, International covenant on civil and political rights, general comment no. 29, derogations during a state of emergency (Article 4), § 2, 31 August, 2001. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RYWaZV>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

²³ UN, International covenant on civil and political rights, general comment no. 29, derogations during a state of emergency, (Article 4), § 5, 31 August, 2001.

²⁴ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 4(3).

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მუხლები, რომელთაგან გადახვევა დაუშვებელია

- სიცოცხლის უფლება (მე-6 მუხლი);
- წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან ამგვარი სასჯელის დაწესების აკრძალვა (მე-7 მუხლი);
- მონობის აკრძალვა (მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები);
- სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თავისუფლების აღკვეთის დაწესების აკრძალვა (მე-11 მუხლი);
- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აკრძალვა იმ დანაშაულისთვის, რომელიც შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობით ჩადენის მომენტისთვის არ წარმოადგენდა დანაშაულს (მე-15 მუხლი);
- სამართალსუბიექტად ცნობის უფლება (მე-16 მუხლი);
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-18 მუხლი).

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ გადახვევის დაუშვებლობა არ ნიშნავს, რომ უფლებაზე შეზღუდვები არ შეიძლება დაწესდეს. მაგალითისთვის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია. ამ შემთხვევაში, შეზღუდვა დადგენილი უნდა იყოს კანონით და უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზანს.

IV. კანონის უზენაესობა და დემოკრატიული პრინციპები საგანგებო მდგომარეობის დროს²⁵

1) კანონიერების პრინციპი

კანონის უზენაესობა საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი მტკიცედ უნდა იყოს დაცული.²⁶ კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპია სახელმწიფოს ქმედება შეესაბამებოდეს კანონს.²⁷ ამ გაგებით კანონში იგულისხმება არა მხოლოდ საპარლამენტო აქტები, არამედ, მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული საგანგებო აქტებიც, თუ მათ კონსტიტუციური საფუძველი გააჩნიათ. შესაძლებელია, საკანონმდებლო ორგანომ მიიღოს საგანგებო კანონებიც, რომლებიც კონკრეტულად მიმდინარე კრიზისთან გასამკლავებლად არის შექმნილი და რომლებიც სცილდება უკვე არსებულ სამართლებრივ ნორმებს. ყოველი ამგვარი კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო,

²⁵ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3azucub>, წვდომის თარიღი: 24.04.2020

²⁶ Venice Commission, Opinion on the protection of human rights in emergency situation, CDL-AD(2006)015), § 13.

²⁷ Venice Commission Rule of Law Checklist (CDL-AD(2016)007), § 44; 45.

საჭიროების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილვას უნდა დაექვემდებაროს.²⁸

2) საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო ღონისძიებების შეზღუდული ხანგრძლივობა

საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობას შესაძლოა ჰქონდეს კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლებამოსილება. ეს მიდგომა მისაღებია, თუ ამგვარი ზოგადი უფლებამოსილება შეზღუდული დროით მოქმედებს. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის მთავარი მიზანი არის კრიზისის განვითარების შეკავება და მდგომარეობის შეძლებისდაგვარად სწრაფად ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გახანგრძლივება უნდა ექვემდებარებოდეს პარლამენტის მიერ მისი აუცილებლობის შემოწმებას.²⁹

საგანგებო მდგომარეობისას, აღმასრულებელი ხელისუფლების კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება საგანგებო მდგომარეობის ხანგრძლივობით უნდა შემოიფარგლოს. ამასთან, საგანგებო ვითარებისას ამოქმედებული ნებისმიერი კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო ვადას განსაკუთრებული ღონისძიებების ხანგრძლივობის შესახებ (ე.წ. “sunset clause”).³⁰ საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეული კონკრეტული, მიზნობრივი ღონისძიებების გამოყენება, მაგრამ ამგვარი ღონისძიებები უნდა წარმოადგენდეს პარლამენტის კომპეტენციას, ჩვეულებრივი პროცედურების დაცვით.³¹

3) თანაზომიერების პრინციპი

თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ საგანგებო ღონისძიებები შეესაბამებოდეს მისაღწევ მიზანს, დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების წესისა და პროცედურების მინიმალური ცვლილების ხარჯზე.³² კრიტიკული მდგომარეობის განვითარების სწრაფი და არაპროგნოზირებადი ხასიათის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება, თუმცა, მათი ფორმულირება უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ვიწრო, რათა შემცირდეს მათი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.³³ **ზოგადად, ფუნდამენტური სამართლებრივი რეფორმები საგანგებო მდგომარეობისას უნდა შეჩერდეს.**³⁴

შეზღუდვები უნდა გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს და ზუსტად იმ ფარგლებში, რასაც მდგომარეობის კრიტიკულობა განაპირობებს. შეზღუდვების აუცილებლობა და პროპორციულობა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. კონტროლის განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია, რამდენადაც სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზული დარღვევები, როგორც წესი, საგანგებო მდგომარეობის პირობებში ხდება და სახელმწიფოებს შესაძლოა გაუჩნდეთ უფლებების

²⁸ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ CM(2008)170, § 46. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2VYWgCQ>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

³⁴ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

შეზღუდვის უფლებამოსილების სხვა მიზნებისთვის და უფრო ფართოდ გამოყენების მიდრეკილება, ვიდრე ამას არსებული მდგომარეობის კრიტიკულობა მოითხოვს.³⁵

4. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი

აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სწრაფად და ეფექტიანად უნდა იმოქმედოს. მან შესაძლოა მოითხოვოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამარტივება და კონტროლისა და ბალანსის ზოგიერთი მექანიზმის შერბილება.³⁶

თუმცა, ამავედროულად, საპარლამენტო ორგანოებმა უნდა შეინარჩუნონ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის უფლებამოსილება. ეს გულისხმობს გონივრული შუალედებით გგადამოწმებას, რამდენად გამართლებულია აღმასრულებელი ხელისუფლების საგანგებო უფლებამოსილებები, ასევე სპეციალურ შემთხვევებში ჩარევას აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესაცვლელად ან გასაუქმებლად.³⁷

სასამართლო ხელისუფლების ძირითადი ფუნქციები, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო სასამართლოების, უნდა შენარჩუნდეს. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა განიხილონ ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზული შეზღუდვები, რომლებიც საგანგებო მდგომარეობისას მიღებული კანონებით დაწესდა.³⁸

V. ადამიანის უფლებათა სტანდარტები

1) სამართლიანი სასამართლოს უფლება

სასამართლო ხელისუფლება წარმოადგენს ხელისუფლების იმ შტოს, რომელსაც ქვეყანაში კანონის უზენაესობის დაცვის კონტროლი ევალება. ამასთან, სასამართლო ამოწმებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედებების კანონიერებას. საგანგებო მდგომარეობის შემოდგომისას, მთავრობას სპეციალური უფლებამოსილებები ენიჭება, რა დროსაც სასამართლოსთვის განსაკუთრებით რთული ხდება მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულება. სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს, დაცულია თუ არა საგანგებო ღონისძიებების გატარებისას ადამიანის უფლებები.³⁹

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებულმა ზომებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს - სხდომების საჯაროობას. საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია, რომ სასამართლო პროცესების საჯაროობა მხარეებს იცავს მართლმსაჯულების ფარულად, საზოგადოებრივი

³⁵ Venice Commission, CDL-AD(2006)015, § 12. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bBj0Is>; წვდომის თარიღი: 24.04.2020.

³⁶ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

³⁷ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

³⁸ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

³⁹ Legal Commentary to the ICJ Geneva Declaration, Upholding the Rule of Law and the Role of Judges and Lawyers in Times of Crisis, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cSpM2T>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

კონტროლის გარეშე განხორციელებისგან. ამავე დროს, საჯაროობა სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა. მართლმსაჯულების ღიად განხორციელება სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფას ემსახურება, რაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.⁴⁰ შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარებისას უზრუნველყოფილი იყოს პროცესების საჯაროობა.

საქართველოში ამ კუთხით არსებული ძირითადი გამოწვევა სასამართლო პროცესებზე დაინტერესებული პირების დისტანციური წვდომის არაარსებობაა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც სამართლიანი სასამართლოს, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.⁴¹ საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული რისკების გათვალისწინებით, სასამართლოს საქმიანობაზე ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობაა.

სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილს ასევე წარმოადგენს მართლმსაჯულების გონივრულ ვადაში განხორციელება. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად უთითებენ, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას ნიშნავს. თუმცა, ვირუსის გავრცელების პრევენციისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ცალკეულ ქვეყნებში სასამართლოებმა დაიწყეს სხდომების გადადება და მხოლოდ სწრაფად განსახილველი საქმეები ტარდება დროულად.⁴² ამგვარ ვითარებაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, არსებითად მნიშვნელოვანია სხდომების დისტანციურად ჩატარების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არსებულ გარემოებებშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავების აკრძალვა, დროული სასამართლო განხილვა და დაცული უნდა იყოს დაკავებულთა არსებითი პროცედურული გარანტიები.⁴³ სახელმწიფოებს ასევე უნარჩუნდებთ ზოგადი ვალდებულება, რომ უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესები (მაგალითად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი) და დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმფცია. ასევე, უნდა აღიკვეთოს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც უთანაბრდება მოსამართლეთა და სასამართლოების დამოუკიდებლობაში ჩარევას.⁴⁴

2. გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საგანგებო მდგომარეობის დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი გამოხატვის თავისუფლებას აკისრია, რამდენადაც ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ამასთან, ადვილად არის შესაძლებელი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არამართლზომიერად განხორციელდეს,

⁴⁰ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bGCmT0> წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁴¹ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის, „განცხადება საგანგებო მდგომარეობის პირობებში საერთო სასამართლოებში პროცესების დახურვისა და სხვა სახის ხარვეზების თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zVFsUX>; წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁴² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bCBw9z>; <https://bit.ly/2VV3CGw>

⁴³ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

⁴⁴ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების ხანგრძლივი გამოცდილება არ აქვთ.

გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა, მათ შორის, ინფორმაციის თავისუფალი და დროული გავრცელება აუცილებელია მედიის მიერ პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების გასაშუქებლად. მედიასა და ჟურნალისტებს აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა - დროული, ზუსტი და სანდო ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას. ამავე დროს, მათ უნდა დაიცვან მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.⁴⁵

გარდა ამისა, ჟურნალისტებს, მედიას, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, სამოქალაქო სექტორს და ზოგადად, საზოგადოებას უნდა შეეძლოს ხელისუფლების კრიტიკა და მათ მიერ კრიზისის საპასუხოდ მიღებული ზომების შესწავლა.⁴⁶

ღიაობა და გამჭვირვალობა არსებითად მნიშვნელოვანია ადამიანების იმ ზომების განხორციელებაში მონაწილეობისთვის, რაც მიღებულია მათი ჯანმრთელობის დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლებისადმი ნდობა შემცირებულია. ის ასევე აუცილებელია არასწორ და შეცდომაში შემყვან ინფორმაციასთან საბრძოლველად.⁴⁷

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო შეკრებასთან დაკავშირებული გამოხატვის ფორმები შესაძლოა შეიზღუდოს, ამ უფლების რეალიზება ნებისმიერი კრიზისის დროს არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან სიტყვის თავისუფლება ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლების ცალკეული ასპექტები შესაძლოა შეიზღუდოს, ამ უფლების ძირითადი ბირთვი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს და მკაცრად უნდა იყოს დაცული.⁴⁸

გამოხატვის თავისუფლების ეფექტური რეალიზების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული მნიშვნელობა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ენიჭება. საქართველოში საგანგებო მდგომარეობის ვადის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები შეჩერებულია,⁴⁹ რაც შეზღუდვის ბლანკეტური ხასიათიდან გამომდინარე, პრობლემურია. მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემა შეიზღუდოს არა სრულად, არამედ მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მდგომარეობის კრიტიკულობა განაპირობებს.

გარდა ამისა, შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე, კიდევ უფრო თვალსაჩინოა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მნიშვნელობა. რაც უფრო ღია და გამჭვირვალე

⁴⁵ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

⁴⁶ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

⁴⁷ Coronavirus: Human rights need to be front and centre in response, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KAPzRm>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁴⁸ Covid-19 and the European Convention on Human Rights, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xYFFGe>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁴⁹ IDFI, „საქართველოში საგანგებო მდგომარეობის ვადის განმავლობაში ელექტრონული საქმისწარმოების, ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის განსხვავებული წესები იმოქმედებს“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Wxk11p>; წვდომის თარიღი: 24.04.2020.

მიდგომა ექნება ხელისუფლებას ინფორმაციის გამოქვეყნების თვალსაზრისით, მით მეტად ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ მოქალაქეები.⁵⁰

3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა/პერსონალური მონაცემების დაცვა

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მათი დამუშავება პანდემიასთან გამკლავების ერთ-ერთი საშუალებაა. არსებული ციფრული ტექნოლოგიებითა და მექანიზმებით (გეოლოკაციის მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი, სახის ამოცნობა, სოციალური მედიის აპლიკაციები) შესაძლებელია პანდემიის კონტროლის ხელშეწყობა.⁵¹

ამავე დროს, თანამედროვე ტექნოლოგიების პოტენციალი არ უნდა იყოს დაუბალანსებელი და არ უნდა დარჩეს კონტროლს მიღმა. მონაცემთა დაცვის პრინციპები და ევროპის საბჭოს N108 კონვენცია უშვებს მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტისა და საჯარო ინტერესების, მათ შორის საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესის დაბალანსების შესაძლებლობას. კონვენცია ითვალისწინებს გამონაკლისებს შეზღუდული დროით, დაცვის სათანადო გარანტიებისა და ეფექტური ზედამხედველობის არსებობის პირობით, რათა მონაცემების შეგროვება, ანალიზი, შენახვა და გაზიარება ლეგიტიმურად და გონივრულად განხორციელდეს.⁵² ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით პერსონალური მონაცემების ფართო მასშტაბიანი დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო მტკიცებულება, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოტენციური სარგებელი აღემატება ალტერნატიული, ნაკლებად შემზღუდველი ზომებით მიღებულ სარგებელს.⁵³

ახალი კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოშობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით. პანდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა იცოდეს, ადამიანები იცავენ თუ არა კარანტინის წესებს, უნდა ფლობდეს დიდი ოდენობის სამედიცინო მონაცემებს, ასევე უნდა იცოდეს ინფიცირებულ ადამიანებს ვისთან ჰქონდათ კონტაქტი და ა.შ, რაც პირად ინფორმაციას განეკუთვნება.⁵⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი უშვებს პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის შესაძლებლობას, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი გამოწვევა პროპორციულობაა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ზომა საგანგებო ვითარების გათვალისწინებით შესაძლოა გამართლებული იყოს, ის ყველანაირ შემზღუდვას ვერ გაამართლებს. ამ კრიზისმა შესაძლოა ევროპული კონვენციის განმარტების ცვლილება და უფლების დაცვის ხარისხის შესუსტება გამოიწვიოს, თუმცა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რა გავლენა ექნება ამ კრიზისის მე-8 მუხლით (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) გათვალისწინებული უფლების დაცვის ფარგლებზე.⁵⁵

⁵⁰ IDFI, კოვიდ-19 კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, 2020 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YbZpFY>, წვდომის თარიღი: 27.05.2020.

⁵¹ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

⁵² Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

⁵³ Council of Europe, Respecting democracy, rule of law and human rights in the framework of the COVID-19 sanitary crisis, 2020.

⁵⁴ Covid-19 and the European Convention on Human Rights, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xYFFGe> წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁵⁵ Covid-19 and the European Convention on Human Rights, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xYFFGe> წვდომის თარიღი: 24.04.2020.

პანდემიით გამოწვეული კრიზისის დროს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით არსებული სერიოზული გამოწვევების თვალსაჩინო გამოვლინებაა ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა ტიპის მონაცემების შეგროვება ვირუსის გავრცელების შესაკავებლად.⁵⁶ ჩინეთმა გაამლიერა და გააფართოვა სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების თვალთვალი, სამხრეთ კორეაში ხელმისაწვდომია ხალხის მოძრაობის არეალის შესახებ ინფორმაცია იმ პირთათვის, ვისთანაც მათ დიდი ალბათობით, კონტაქტი ჰქონდათ. ისრაელში მთავრობამ კორონავირუსის საბაზით უსაფრთხოების სამსახურს მიანიჭა უამრავი ადამიანის ადგილმდებარეობისთვის თვალყურის მიდევნების უფლება, რომელზეც წვდომა მოქალაქეების მობილური ტელეფონებიდან აქვს. მოსკოვში, რუსეთი აინსტალირებს სათვალთვალო კამერებს, რომლებიც აღჭურვილია სახის ამომცნობი ტექნოლოგიით. არსებობს საფრთხე, რომ სახელმწიფოები ამ ტიპის მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას კრიზისის შემდგომაც გააგრძელებენ.⁵⁷

ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს პანდემიის შემდგომ სახელმწიფოს მოქმედებების კონტროლს. საქართველოს მთავრობამაც შექმნა აპლიკაცია COVID-19-ის პრევენციის მიზნით, რომელსაც პირთა ადგილმდებარეობის მონაცემებზე აქვს წვდომა და რომლის გადმოწერაც ნებაყოფლობითია.⁵⁸ ამ ეტაპზე, აპლიკაციის მეშვეობით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არაპროპორციული შეზღუდვის რისკები იდენტიფიცირებული არ არის. თუმცა, ლოკაციის მონაცემებით პირების იდენტიფიცირება სხვადასხვა მონაცემის შეჯერების საფუძველზე შესაძლოა არ იყოს რთული.⁵⁹ შესაბამისად, აუცილებელია მოსახლეობას მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება ინფორმირებული თანხმობა განაცხადონ აპლიკაციის გადმოწერისას მათი მონაცემების ხელმისაწვდომობაზე.

სახელმწიფოს მიერ სათვალთვალო ტექნოლოგიების გამოყენებისას ადამიანის უფლებების სრულად დასაცავად, საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებამ ერთობლივი განცხადება გაავრცელა და ჩამოაყალიბა ის პირობები, რომელთა არსებობა აუცილებელია COVID-19-თან საბრძოლველად ასეთი ტიპის ტექნოლოგიების გამოყენებისას.⁶⁰

1. სათვალთვალო ზომები კანონიერი, აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ჯანდაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ყველა ღონისძიება უნდა იყოს გამჭვირვალე.
2. გაძლიერებული მონიტორინგისა და სათვალთვალო ზომები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული დროით დადგენილი და შესაძლოა გაგრძელდეს მხოლოდ იმ დროით, რაც საჭიროა პანდემიასთან საბრძოლველად.
3. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პერსონალური მონაცემების შეგროვება, ფლობა და თავმოყრა მხოლოდ COVID-19-თან ბრძოლის მიზნებს ემსახურება. მათი კომერციული მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

⁵⁶ How authoritarians are exploiting the COVID-19 crisis to grab power, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cMkwxL>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁵⁷ How authoritarians are exploiting the COVID-19 crisis to grab power, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cMkwxL>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁵⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W2VJyM>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁵⁹ Twelve million phones, one dataset, zero privacy, 2019, ხელმისაწვდომია: <https://nyti.ms/3bQLFiY>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁶⁰ Joint civil society statement: States use of digital surveillance technologies to fight pandemic must respect human rights, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Y2IINX>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

4. ხელისუფლებამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს პერსონალური მონაცემების დასაცავად და უნდა უზრუნველყოს მათი და იმ ტექნოლოგიების უსაფრთხოება, რომელიც გამოიყენება ამ მონაცემთა გადასაცემად, შესაგროვებლად და შესანახად. მონაცემების ანონიმურობაზე მითითება გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებებით და იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობით, რომელიც მიუთითებს, როგორ მოხდა მონაცემების ანონიმიზაცია.
5. ნებისმიერი ციფრული სათვალთვალო ტექნოლოგიის გამოყენება, დიდი მონაცემებისა და ხელოვნური ინტელექტის ჩათვლით, უნდა პასუხობდეს საფრთხეებს, რომლებმაც შესაძლოა დისკრიმინაციისა და რასობრივი უმცირესობების, ღარიბი მოსახლეობისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების უფლებების შელახვა გამოიწვიოს.
6. მნიშვნელოვანია, რომ ყველა შეთანხმება, რომლითაც პერსონალური მონაცემები მესამე პირებს გადაეცემა ეფუძნებოდეს კანონს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.
7. სახელმწიფოს ყოველი ქმედება უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებულებისა და უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების გარანტიებს. სათვალთვალო ღონისძიებები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელი ორგანოების მიერ ეფექტურ კონტროლს. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს მისი მონაცემების შეგროვებასთან, შენახვასთან, ფლობასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ზომების გასაჩივრების შესაძლებლობა.
8. მიღებული ზომები უნდა შეიცავდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების თავისუფლად, აქტიურად და სრულყოფილად ჩართულობის შესაძლებლობას.⁶¹

VI. დასკვნა

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემია სახელმწიფოების მხრიდან ფართო მასშტაბიანი ექსტრაორდინალური ზომების მიღებას მოითხოვს. COVID-19-თან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება აუცილებელს ხდის სათანადო დროებითი შეზღუდვების შემოღებას. ამავ დროს, არსებითად მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის დროს შენარჩუნებული იყოს ფუნდამენტური უფლებები და უზრუნველყოფილი იყოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულება, რადგან კრიზისის დროს აღმასრულებელი შტოსთვის გადაჭარბებული უფლებამოსილებების მინიჭებას შესაძლოა ხანგრძლივი არაპროპორციული გავლენა ჰქონდეს ადამიანების ცხოვრებასა და თავისუფლებაზე.⁶²

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეზღუდვებს უნდა ჰქონდეს დროებითი ხასიათი და უნდა გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს და ზუსტად იმ ფარგლებში, რასაც მდგომარეობის კრიტიკულობა განაპირობებს. აღნიშნული განსაკუთრებით ყურადსაღებია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევასთან მიმართებით, რამდენადაც რთულია იმის დადგენა, შეწყდა თუ არა სათვალთვალო ზომების განხორციელება ან/და წაიშალა თუ არა ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფომ COVID-19-თან ბრძოლაში გამოიყენა.

საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული რისკების გათვალისწინებით, სასამართლოს საქმიანობაზე ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რისი

⁶¹ Joint civil society statement: States use of digital surveillance technologies to fight pandemic must respect human rights, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Y2IINX>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

⁶² Covid-19 and the European Convention on Human Rights, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xYFFGe>, წვდომის თარიღი: 24.04.2020.

უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობაა. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია სხდომების დისტანციური ჩატარებისას უზრუნველყოფილი იყოს პროცესების საჯაროობა.

ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვანია თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს დაავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიება, მიღება და გავრცელება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა. სახელმწიფომ ასევე აქტიურად უნდა იზრუნოს დეზინფორმაციის წინააღმდეგ, რათა ე.წ. „ყალბმა ინფორმაციამ“ არ გამოიწვიოს პანიკა მოსახლეობაში.⁶³

შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე, კიდევ უფრო თვალსაჩინოა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მნიშვნელობა. ამასთან, მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემა შეიზღუდოს არა ბლანკეტურად, არამედ მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მდგომარეობის კრიტიკულობა განაპირობებს.

დაბოლოს, აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ნება მიმართული იყოს საგანგებო მდგომარეობით განპირობებული ადამიანის უფლებების შეზღუდვების შეძლებისდაგვარად სწრაფად დასრულებისკენ, რათა ქვეყანაში კანონის უზენაესობას საფრთხე არ შეექმნას.

⁶³ COVID-19: Governments must promote and protect access to and free flow of information during pandemic – International experts, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35jQjQx>, წვდომის თარიღი: 27.04.2020.